განმარტებითი ბარათი

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეთანის შესახებ“ საქართველოს კანონი

პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ვინაიდან აღნიშნული კანონის მნიშვნელოვანი ცვლილებების, კანონპროექტის დახვეწის და მისი ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების მიზნით მიმდინარეობს ინტენისური მუშაობა სხვადასვა უწყებებს შორის, კერძოდ საქართველოს პარლამენტის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ეროვნული ბანკის, ეკონომიკურის საბჭოს, მსოფლიო ბანკის და სხვა უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა კონონში გასატარებელი ცვლილებების კონცეფცია და დარგში არსებული პრობლემების და მათი ეტაპობრივი აღოფხვრის გეგმა რომელთა შეთანხმება ამჟამად საქართველოს მთავრობასთან მიმდინარეობს და შემდეგ დარგის წარმომადგენლებთანაც. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭირო გახდა კანონით გათვალისწინებული გარკვეული ვადების გადაწევა მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე.

ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონის მიღების მიზანს წარმოადგენს გარკვეული დროის მიცემა რათა შემუშავებულ იქნას ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი ცვლილებები და მოხდეს აღნიშნული პროფესიის დარეგულირება მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ასევე დღეს არსებული პროფესიული ორგანიზაციების ინტერესების შეჯერაება და სახელმწიფო უწყებებისათვის საკმარისი დროის განსაზღვრა დავალებების ეფექტურად შესასრულებლად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, ტექნიკური ცვლილება შედის კანონის გარდამავალ მუხლში, რომლითაც: 16-ე მუხლის მე-2, მე-7, მე-8, 13-ე და 15-ე პუნქტებში

აღნიშნული ვადა ხანგრძლივდება, კერძოდ, 2015 წლის 30 სექტემბრამდე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება სავალდებულო არ იქნება, მაგრამ მათ ამავე ნორმით საშუალება ექნებათ სურვილის შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტებით მოამზადონ ფინანსური ანგარიშგებები, ასევე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრება დროებით არ მოეთხოვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას ან შემცირებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტები შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგად.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი თამაზ მეჭიაური

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი თამაზ მეჭიაური